ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N40

ქ. თბილისი

10 ივნისი, 2016 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „ოპტიმალ სერვისი" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გოგოჭურის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი",,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 45 (ორმოცდახუთი) ცალი საინფორმაციო ბანერის (კაპა სტიკერი, ზომით 100 სმ / 50 სმ, გამარჯვებულების გამოსახულებით) შესყიდვა. (CPV კოდი: 39294100) შემდგომში – „საქონელი".

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1 080 (ათასოთხმოცი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ღირებულება შეადგენს **24 (ოცდაოთხი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქონლის სრულად მიწოდების შემდგომ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი სასაქონლო-ზედდებულით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედდებულზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" თანამშრომელი - მაია კუჭაშვილი.
4.3. შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს საქონელი, თუ იგი არ აკმაყოფილებს მხარეთა წინასწარ შეთანხმებულ ხარისხსა და მოთხოვნებს.
4.4. იმ შემთხვევაში, თუ საქონელს აღმოაჩნდა ფარული ნაკლი და აღნიშნული ცნობილი გახდა შემსყიდველისათვის მიწოდების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უმოკლეს ვადებში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი ან აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი შემსყიდველს.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. N16
5.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისამდე.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს".

11. მხარეთა ხელმოწერა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34
ს/კ 204568208
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს ,,ოპტიმალ სერვისი"
მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. #27, მ/ტ
ს/კ 404923277
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE45BG0000000336813[illegible]

დირექტორი
დავით გოგოჭური